GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 60
თარიღი: 4 04 2018 წ.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

KA000079959330818

№6023
28 / ივნისი / 2018 წ.

ა(ა)იპ "საქართველოს რეფორმების ასოციაციის"
(GRASS) დირექტორს პაატა გაფრინდაშვილს

მის.: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N75"გ", ბ. N40

ბატონო პაატა,

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოსული თქვენი 2018 წლის 23 აპრილის N72 (პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რეგისტრაციის N1/9326, 25.04.18) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 2013 წლის 17 ნოემბრიდან დღემდე საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა შეიწყალა 4 008 მსჯავრდებული და სასჯელმოხდილი პირი (აქედან, მოსახდელად დარჩენილი საპატიმრო სასჯელი შეუმცირდა 1 187 პირს), შეწყალებულთა შორის საქართველოს სსკ 33-ე თავით („ნარკოტიკული დანაშაული") გათვალისწინებული დანაშაულებისათვის სასჯელს იხდიდა 2 128 მსჯავრდებული პირი; შეწყალებულთა შორის განსაკუთრებით მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულებისათვის მსჯავრდებული იყო 3 609 პირი (აქედან, მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის - 2 037 და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის - 1 572 პირი), რომელთაგან საქართველოს სსკ 33-ე თავით მსჯავრდებული იყო 1 998 პირი (მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის - 696 და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის - 1 302 პირი).

გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ 2013 წლის 17 ნოემბრიდან დღემდე საქართველოს პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით მიმართა საქართველოს სსკ 11^1, 126^1 და 381^1 მუხლებით დაკვალიფიცირებული დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულმა 363 პირმა (მათ შორის, 2013 წელს - 1, 2014 წელს - 18, 2015 წელს - 43, 2016 წელს - 79, 2017 წელს - 134 და 2018 წელს - 88 პირი); შეწყალების საკითხთა კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გასცა მათგან 12 პირის მიმართ (2016 წელს - 3, 2017 წელს - 7, 2018 წელს - 2 პირი), ხოლო საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა 6 პირი (2016 წელს - 3, 2017 წელს - 2 და 2018 წელს - 1 პირი), აქედან 2 მსჯავრდებული (ქალი) გათავისუფლდა სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, ხოლო 4-ს შეუმცირდა მოსახდელად დარჩენილი სასჯელი. საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული მორატორიუმის გათვალისწინებით, შეწყალების საკითხთა კომისიის 2018 წლის 16-19 მაისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით გადაიდო ზემოთ ხსენებული მუხლებით დაკვალიფიცირებული დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებული 33 პირის საკითხის განხილვა.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

ეკატერინე ჭითაშვილი